

# ბოლნისის მუნიციპალიტეტი

## საპროექტო მომსახურების შესყიდვა კონკურსის მეშვეობით

ქ. ბოლნისიში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. #106) მე-3 სართულისა და მეორე სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინი) შესყიდვა

ქ. ბოლნისი

2011 წელი

## სარჩევი

საკონკურსო განცხადება -----	2-4გვ;
ტექნიკური დავალება -----	5-6გვ
ხელშეკრულების პროექტი -----	7-9გვ
ნახაზები+არსებული ფოტოფიქსაცია -----	(მიმაგრებული 3 ფაილი)

## საკონკურსო განცხადება

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. ბოლნისში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. #106) მე-3 სართულისა და მეორე სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინი) შესყიდვა.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 22000 (ოცდაორი ათასი) ლარს.
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
  - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და თარიღი;
  - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
  - გ) კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
  - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6. საკონკურსო განცხადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-4 და მე-5 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
9. დოკუმენტების ან და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

10. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 12 ოქტომბერს 10<sup>00</sup>საათზე;
11. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 12 ოქტომბერს 17<sup>00</sup>საათზე;
12. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 12 ოქტომბერს 10<sup>00</sup>საათიდან 17<sup>00</sup>საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა #106.
13. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
14. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან 30 9ოცდაათი) დღის განმავლობაში.
15. წინასწარი ანგარიშწორება არ გამოიყენება.
16. კონკურსანტის საკონკურსო წინადადება უნდა შედგებოდეს:
  - ა) საკონკურსო წინადადების ფასისაგან (ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარში)).
  - ბ) განმარტებითი ბარათი, გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა; არქიტექტურული კონცეფცია (გეგმარებითი გადაწყვეტა); ვიზუალიზაცია; ინტერიერის განშლები (ნახაზები წარმოდგენილ იყოს 100 ან 50 მაშტაბში, საპრეზენტაციო მასალა წარმოდგენილ იქნას A-2 ფორმატზე, ესკიზის ელექტრონული ვერსიით CD დისკზე; შესაბამისი ავეჯის ინდივიდუალური დიზაინის ესკიზები.
  - გ) ინფორმაცია მომსახურებისმიწოდების ვადის შესახებ.
  - დ) ინფორმაცია ანგარიშწორების ვადის შესახებ.
  - ე) რეკვიზიტები.
17. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
18. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

19. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:
- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: **კოეფიციენტი - 0,8**
  - საკონკურსო წინადადების ფასი: **კოეფიციენტი - 0,2**
  - შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
  - კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. (ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა).
20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 25 (ოცდახუთი) დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.
21. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
22. საჭიროების შემთხვევაში გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ოთხების განლაგებასა და ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.
23. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7,9 მგბ-ს.
24. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ნიტერესებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.
25. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:  
ნიკოლოზ გობეჯიშვილი - 577955128 - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

## ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. ბოლნისიში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. #106) მე-3 სართულისა და მეორე სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინი) შესყიდვა.

საპროექტო სამუშაოების საანგარიშო ფართი წარმოადგენილია ნახაზზე (იხილეთ მიმაგრებული ფაილი).

შენობის მე-3 სართული უნდა დაპროექტდეს შემდეგი აუცილებელი პირობების გათვალისწინებით:

1. თანამშრომელთა რაოდენობა, მე-3 სართულზე (საპროექტო ობიექტზე) სულ-47კაცი.
2. მათ შორის:
  - 2.1 გამგებლის მოადგილე - 2 თანამშრომელი (იზოლირებული ცალკ-ცალკე ოთახებით).
  - 2.2 გამგებლის თანაშემწე - 2 თანამშრომელი
  - 2.3 ადმინისტრაციული სამსახური - სულ 11 თანამშრომელი. მათ შორის:
    - 2.3.1. სამსახურის უფროსი - 1 თანამშრომელი;
    - 2.3.2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - 1 თანამშრომელი;
    - 2.3.3. იურისტი - 3 თანამშრომელი;
    - 2.3.4. სპეციალისტები - 6 თანამშრომელი;
  - 2.4 ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დახმარების ვეტერანთა საქმეებისა და მიგრაციის სამსახური - სულ 5 თანამშრომელი. მათ შორის:
    - 2.4.1. სამსახურის უფროსი - 1 თანამშრომელი;
    - 2.4.2. სპეციალისტები - 4 თანამშრომელი;
  - 2.5 საფინანსო საბიუჯეტო სამსახური - სულ 10 თანამშრომელი. მათ შორის:
    - 2.5.1. სამსახურის უფროსი - 1 თანამშრომელი;
    - 2.5.2. შესყიდვების განყოფილება - 2 თანამშრომელი (იზოლირებული ოთახით);
    - 2.5.3. სპეციალისტები - 7 თანამშრომელი (მათ შორის 2 (განყოფილების უფროსი) -იზოლირებული);
  - 2.6 კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური - სულ 5 თანამშრომელი. მათ შორის:
    - 2.6.1. სამსახურის უფროსი - 1 თანამშრომელი;
    - 2.6.2. სპეციალისტები - 5 თანამშრომელი;
  - 2.7 ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური - სულ 7 თანამშრომელი. მათ შორის:
    - 2.7.1. სამსახურის უფროსი - 1 თანამშრომელი;
    - 2.7.3. სპეციალისტები - 6 თანამშრომელი (მათ შორის 2 (განყოფილების უფროსი) -იზოლირებული);

**2.8 შენობის მე-3 სართულზე ასევე უნდა განთავსდეს:**

2.8.1 არქივი - 15-20 მ<sup>2</sup>-ზე

2.8.2 საკონფერენციო დარბაზი - 20 კაცზე;

2.8.3 სამზარეულო - 25-30 მ<sup>2</sup>-ზე

2.8.4 სველი წეტილების (საპირფარეშოები) განლაგება დარჩეს უცვლელი.

**3. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:**

**3.1 არქიტექტურული ნაწილი:**

3.1.1 არსებული სიტუაციის გეგმა (ჭრილებით);

3.1.2 საპროექტო ტიხრების გეგმა (100 ან 50-იანი მაშტაბით);

3.1.3 საპროექტო გეგმა ავეჯის ჩვენებით (100 ან 50-იანი მაშტაბით);

3.1.4 იატაკების მოწყობის გეგმა;

3.1.5 გეგმა ჭერის ჩვენებით;

3.1.6 ელექტროობის გეგმა ჩამრთველების და როზეტების ჩვენებით;

3.1.7 ჭრილები;

3.1.8 დეტალური კვანძები;

3.1.9 ვიზუალური ხედები.

3.2. ელექტროობის პროექტი.

3.3. სანტექნიკის პროექტი.

3.4 ლოკალურ და ნაკრებ ხარჯთაღრიცხვებს (ავეჯის განფასების გარეშე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

**4. ობიექტის საამშენებლო ღირებულება შეადგენს - არაუმეტეს 350000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარს.**

**5. საკონკურსო განცხადების ფასში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები. ამასთან დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი საამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.**

# ხელშეკრულების პროექტი

ქ. ბოლნისის

----- 2011წელი

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ საბიაშვილის სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ----- სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

- 1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ( შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.
- 1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
- 1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. "ტექნიკური დავალება" - კონკურსის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ქ. ბოლნისისში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. #106) მე-3 სართულისა და მეორე სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინი) შესყიდვა. (71300000-CVP)
- 2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (------) ლარს,
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
- 4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.
- 5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:  
--გაწეული მომსახურების დასახელება;

შემსყიდველი

მიმწოდებელი



--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - -----  
----- ( დაინიშნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი სამსახურის წარდგენის საფუძველზე)

## 6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 კალენდარულ დღეში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს -----

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- 10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
- 10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### **11. დაუძლეველი ძალა**

- 11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### **13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **15. რევიზიტები**

---

შემსყიდველი

---

მიმწოდებელი